საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
თვითმმართველობა და განვითარება
www.intellect.org.ge
№23 / 2012

# ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე მუშაობის შედეგები



აჭარის რეგიონი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი სუბიექტია და ეს განპირობებულია უპირველეს ყოვლისა საწარმოო ფაქტორების არსებული რესურსებითა და მათი გამოყენების პოტენციური შესაძლებლობებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალური ერთეულები დღეისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან. მათ უმთავრეს მიზანს სწორედ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სტაბილური დინამიკის მიღწევის უზრუნველმყოფი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამ მიმართულებით გადასაჭრელი პრობლემები ბევრია. სწორედ ამიტომ საჭიროა ქვეყნის, რეგიონისა და მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესისა და სხვა სფეროების სუბიექტების აქტიური ჩართულობითა და ძალისხმევით შემუშავდეს და განხორციელდეს სათანადო პროექტები და პროგრამები. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ დაფუძნების დღიდან აქტიურად მუშაობს რეგიონისა და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოების ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების ხელისშემწყობი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისათვის. სწორედ აღნიშნულის მისაღწევად „ინტელექტმა“ დაიწყო მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავება, რომლებსაც საფუძვლად დაედო მაღალკომპეტენტურ დონეზე ჩატარებული წინასწარი კვლევები, რისთვისაც გამოყენებული იქნა მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემურ-კომპლექსური ანალიზის მეთოდები. შეიძლება ითქვას, რომ პროექტის მიზნები და ამოცანები, აღნიშნული გეგმების შემუშავების დასაბუთებულობის დონისა და ხარისხის მიხედვით, მიღწეულ იქნა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს მუნიციპალიტეტებში წარდგენილი პროექტების განხილვის შედეგები და ცალკეულ ექსპერტთა შეფასებები.

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შესრულების ხარისხის დონისა და ყოვლისმომცველობის, შინაარსისა და სტრუქტურის დახასიათებისათვის შეიძლება ვისარგებლოთ ზოგიერთი ასპექტით, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების სტრუქტურა;
- გამოყენებული მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ანალიზისა და შეფასების მეთოდები და ფორმები;
- სტრატეგიები, ქვესტრატეგიები, პროექტები (პროექტების რუკები);
- რესურსები, შემსრულებლები, მოსალოდნელი შედეგები;
- რესურსები, დარგობრივი ინფრასტრუქტურა და კონკურენტუნარიანობა.

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული მსგავსი მიმართულების პროექტების სხვადასხვა მოდელების ვარიანტები, და რა თქმა უნდა, ჩამოყალიბებული იქნა საკუთარი ხედვა სტრატეგიული გეგმების სტრუქტურული ფორმის მიმართ. საბოლოო საბაზისო ვარიანტის შინაარსობრივი სტრუქტურა კი ასე განისაზღვრა:

- სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შემუშავების სამართლებრივი, მეთოდოლოგიური, ინფორმაციული და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ბუნებრივი რესურსების დახასიათება;
- ინფრასტრუქტურა (გზები, კომუნიკაცია, ენერგეტიკა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, სამელიორაციო - საირიგაციო სისტემები);
- ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, განათლება, კულტურა სპორტი;
- დარგობრივი ეკონომიკა, სივრცობრივი განვითარება, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო;
- მუნიციპალიტეტებში სოციალური კვლევების შედეგები, წინადადებები, დასკვნები და რეკომენდაციები, განვითარების სავარაუდო (სასურველი) პროგნოზული სცენარები, პროექტების რუკები;
- ჩატარებული SWOT-ანალიზების შედეგები.

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები მოიცავს პროექტებს საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის. თითოეული პროგრამა გამოირჩევა თავისი სტრუქტურით, რაც განპირობებულია მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის განსხვავებულობით. გამომდინარე აქედან, სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას მეთოდოლოგიური ბაზა ითვალისწინებდა სტრატეგიებისა და ქვესტრატეგიების საერთო სქემების გამოყენებას, რომლებშიც კონკრეტული პროექტების რუკები ორიენტირებული იქნა რესურსებისა და ბიზნესის განვითარების მასშტაბებზე. მთავარი მიდგომა მდგომარეობდა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებაში:

– მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი რესურსების რეალური პოტენციალის გამოვლენა;
– სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის ოპტიმალობა, ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოწვევები სხვადასხვა პერიოდისათვის;
– მუნიციპალიტეტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცების პრობლემათა გადაჭრაში საკუთარი და სახელმწიფო ძალისხმევის დაბალანსებული გამოყენების მიღწევა;
– მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხორციელებისა და ახალი სიტუაციების შესატყვისი გამოწვევების ადეკვატური კორექტირების პროცესების რაციონალური მართვის მიღწევა;
– სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულებით მსოფლიო გამოცდილების ფართოდ გამოყენება და მიღებული შედეგების შესატყვისობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევების დონესთან, ეკონომიკური პოტენციალის საშუალო და გრძელვადიანი განვითარების დაგეგმვისა და მართვის რაციონალურ სისტემებთან.

სტრატეგიული გეგმების ერთ–ერთ უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე პროექტის რუკები, რომელთა შემუშავებას საფუძვლად დაედო ძირითადი სტრატეგიებისა და ქვესტრატეგიების მიზნები და ამოცანები. თითოეული პროექტის რუკა მოიცავს მისი განხორციელების მიზნებსა და ამოცანებს, მოსალოდნელ შედეგებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, მონაცემებს შემსრულებლებსა და რესურსებზე, ასევე სავარაუდო რისკებს. პროექტები შემუშავებულია პრინციპით - რესურსები, გამოყენების ტექნოლოგიები (ინსტრუმენტები და მექანიზმები) - ორიენტაცია მთავარი მიზნის შესრულებაზე - სციალურ-ეკონომიკური ეფექტი. ცალკეული პროექტები ითვალისწინებს განხორციელების სინქრონიზაციას დროში და სხვადასხვა პროექტებთან.

ცალკეული მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შედგენა-შესრუელბის მეთოდოლოგიური ბაზის ერთგვაროვნების მიუხედავად, გარკვეული დიფერენციაცია არსებობს პროექტების ნუსხაში, რაც ძირითადად განპირობებულია არსებული რესურსებისა და მათი ათვისება-გამოყენების მასშტაბების, რეგიონული, სახელმწიფო და საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის დონის ხარისხით.

ნებისმიერ შემთხვევაში კონკრეტული პროექტების განხორციელებისათვის გამოყენებული რესურსები შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:

– მატერიალური რესურსები (მიწა, წყალი, წიაღისეული, ტყე, სასოფლო-სამეურნეო ნედლეული და ა.შ.);
– შრომითი რესურსები; ფინანსური რესურსები;
– ტექნოლოგიები (ინტელექტუალური პროდუქცია);

პროექტების შემსრულებელთა კატეგორია ორ ნაწილად არის წარმოდგენილი:

1. შემსრულებლები;
2. თანამონაწილეები.

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შესრულებისათვის, გამოყენების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის, საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების და ბიზნეს სუბიექტების რესურსები.

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების საბოლოო სახით ჩამოყალიბებას წინ უძღვის ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების მხრიდან განხილვა და სათანადო კორექტირებების შეტანა.

შემუშავებული პროგრამების რეალობის დასაბუთებულობის ხარისხის, განხორციელებადობის, პროექტების შედგენისა და კომპეტენტურობის დონის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია:

– მუნიციპალიტეტების დონეზე შემუშავებული პროექტების განხილვა;
– მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების საკონფერენციო თემატიკაში შეტანა და სხვადასხვა პრიორიტეტულ თემატურ მიმართულებებზე მსჯელობა;

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები“ პასუხისმგებელი არ არის

# ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე მუშაობის შედეგები

დასაწყისი გვ.7



– სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში სპეციალისტ–შემსრულებელთა და ცალკეულ ექსპერტთა მიერ მეთოდოლოგიურ–პრაქტიკული მიდგომების ჩამოყალიბება;

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ა/რ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ სტრატეგიული გეგმების განხილვა და რეცენზირება.

ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავება–განხორციელების პრობლემაზე დასკვნები შემდეგი სახისაა:

მუნიციპალიტეტებში პროგრამების განხილვისას დაფიქსირებული იქნა პოზიტიური შეფასებები. მიჩნეული იქნა, რომ სტრატეგიული გეგმები რეალურად არის ორიენტირებული მუნიციპალიტეტების კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემათა გადაჭრაზე, სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, რისი მიღწევისათვის კი განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებულია წარმოების ფაქტორების პოტენციალური რესურსების ოპტიმალური გამოყენება. მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების ორგანოების მხრიდან გამოთქმული იქნა მოსაზრებები ცალკეული პრობლემების კონკრეტიზაციის, შესრულების ვადების, რისკ–ფაქტორების, რესურსული უზრუნველყოფის და პროგრამების შესრულების პროცესის მართვის, ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ფორმებისა და მეთოდების რაციონალიზაციის თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულმა გეგმებმა ფართო ასახვა ჰპოვა სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში, თემაზე: „აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარება – გამოწვევები და პერსპექტივები“.

პრობლემების მნიშვნელობასა და სტრატეგიული გეგმების მასშტაბებიდან გამომდინარე კონფერენციის თემატური გეგმა მთლიანად აგებული იყო სტრატეგიების, ქვესტრატეგიების, მიზნების, ამოცანებისა და პროექტების გათვალისწინებით. სახელმწიფო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეის სუბიექტების და სხვა მონაწილეების ერთობლივი თეორიულ–პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებაზე მკაფიოდ წარმოჩნდა მთელი რიგი, როგორც პოზიტიური–ისე ნეგატიური ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი უნდა გახდეს მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავება–განხორციელების პროცესში. კერძოდ:

– რეგიონის და მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება–განხორციელების მიმართულებით გარკვეული სამუშაოების შესრულების მიუხედავად, არ არის მიღწეული სტაბილური და მდგრადი დინამიური პროცესი;

– არ არის მეცნიერული დასაბუთებულობის დონეზე შესწავლილი და გამოვლენილი მუნიციპალიტეტების ყველა რესურსები, მათი მასშტაბები და განუსაზღვრელია მათი შემდგომი გამოყენების გზები (საწარმოო ფაქტორები);

– არაოპტიმალური და სუსტად განვითარებულია დარგობრივი ინფრასტრუქტურა, დაბალია რეგიონისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და ინტერესთა დივერსიფიკაციის დონე;

– სრულად არ არის ათვისებული სივრცობრივი განვითარების შესაძლებლობები, არაა ჩამოყალიბებული ერთიანი სტრატეგია, სუსტი და არასაკმაოდ მიმზიდველია საცხოვრებელი გარემო, დაუსაქმებელია მოსახლეობა და მაღალია მიგრაციის დონე. ჯერჯერობით არსაკმარისია ბუნებრივ–სტიქიური და სხვა ნეგატიურად ზემოქმედი ფაქტორების აღმკვეთი, პრევენციული ღონისძიებების გატარება;

– დიდია დისბალანსი წარმოებისა და მოხმარების რეალურ პოტენციალს შორის;

– სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს ინფრასტუქტურა (გზები, წყალმომარაგება, კანალიზაცია და ა.შ.), გადაწყვეტილებას მოითხოვს სხვადასხვა საკითხები განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სფეროებში;

– აუთვისებელია ტურისტული ინდუსტრიის განვითარების რესურსები;

– სუსტად ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი.

ზემოაღნიშნული პრობლემები სწორედ მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების ფოკუსშია მოქცეული. ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან – დღემდე ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული მიზნობრივი ღონისძიებების შედეგად, მიღებული პოზიტიური შედეგები სახეზეა, მაგრამ დღევანდელი გამოწვევები ახალი პროგრამებისა და პროექტების განხორციელების გაფართოებას მოითხოვს.

საკონფერენციო განხილვისას გამოიკვეთა აუცილებლობა იმისა, რომ საჭიროა მუნიციპალური და რეგიონული მართვის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა მსოფლიო გამოცდილების გამოყენებით, კადრების მომზადებით, მეცნიერებით, განათლებისა და ბიზნესის ინტეგრაციის გზით.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში სხვადასხვა მიმართულებებზე მომუშავე სპეციალისტთა კომპეტენციის, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის, საკუთარი ხედვისა და პროგრამების შემუშავება–განხორციელების სტრატეგიის მოთხოვნილების გათვალისწინებით ხორციელდება სტრატეგიული გეგმების სრულყოფა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ერთ–ერთი ფუნქციაა სამეცნიერო კვლევითი პროფილის ორგანიზაციათა მუშაობის სხვადასხვა მიმართულებით კოორდინაცია და მიღებული შედეგების შეფასება. სოციალურ–ეკონომიკური განვითარების რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების პრობლემები ერთ–ერთი აქტუალურია და მასზე მუშაობს სოციალურ–ეკონომიკური კვლევებისა და ტურიზმის განვითარების დარგობრივი კომისია. რეგიონული ცენტრის მხრიდან ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის მიერ განხორციელებული სამუშაოები, უშუალოდ მუნიციპალური სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

– მუნიციპალიტეტების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავების მიზნები და ამოცანები პასუხობს თანამედროვე გამოწვევების მოთხოვნებს;

– სტრატეგიული გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა მთლიანად პასუხობს და ითვალისწინებს ამ სფეროში მეცნიერული კვლევის შედეგებს, მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებულ ფორმებსა და მეთოდებს, მათი გამოყენების ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს;

– პროგრამებში ჩამოყალიბებული სტრატეგიები, ქვესტრატეგიები, გამოყენებული რესურსები, მოსალოდნელი პროგნოზული შედეგები ადეკვატურია ქვეყნის ხელისუფლების სტრატეგიული კურსისა მუნიციპალური და რეგიონული განვითარების მიმართულებით;

– სტრატეგიული გეგმების შემუშავებისათვის არსებული ინფორმაციული „ვაკუუმი“ (უკმარისობა ოფიციალური წყაროებით) „შევსებულია“ საკუთარი კომპეტენტური ანალიტიკური კვლევების გამოყენებით;

– სტრატეგიული გეგმების მაღალმეცნიერულ და გამოყენებით მახასიათებლებს ზრდის მათი შემუშავების ცალკეულ სტადიებზე საჯარო განხილვებისა და აზრთა შეჯერების გზების გამოყენება;

– სტრატეგიული გეგმების განხორციელების საფუძველი, რესურსული უზრუნველყოფა, მიზნებისა და ამოცანების, პროექტების კონკრეტულობა და რეალობა მათი დანერგვის საფუძვლებს ქმნის.



***ასლან დევაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სწავლული მდივანი***

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი:
გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის “აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის” ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 241650, ფაქსი: 241640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები“ პასუხისმგებელი არ არის